სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/151

7 ოქტომბერი 2021 წ

ქ. თბილისი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სასწავლო პროცესის ჰიბრიდულ რეჟიმში განხორციელების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 7 ოქტომბრის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

I. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემეტრში სასწავლო პროცესი განხორციელდეს ჰიბრიდულ რეჟიმში:
   - ლექციები და სემინარები ჩატარდეს დისტანციურ რეჟიმში;
   - ლაბორატორიული მეცადინეობები – არადისტანციურ რეჟიმში;
   - პრაქტიკული მეცადინეობები – აკადემიური დეპარტამენტების წინადადებების საფუძველზე, ფაკულტეტის დეკანის წერილობითი წარდგინებით და სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის თანხმობით – არადისტანციურ ან დისტანციურ რეჟიმში.

II. სასწავლო პროცესის განხორციელების რეჟიმი აიხახოს მეცადინეობების ცხრილში;

III. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**